ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2832689

ნომერი: AR1437508

თარიღი : 08.09.2016

გაცემის თარიღი : 13.09.2016

გაცნობის თარიღი : 13.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13 , (ნაკვეთი N4/51) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სეტ ედვარდ ბლაი ჩერ პ/ნ 01891005108
- თბილისი თ.ჭოველიძის ქ. N 23 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ №1185 , 09/08/2011 გადაწყვეტილებით გაიცა მიწის

ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც მოხდა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (ბრძანება №2437729 , 17.02.2016) , გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, რის შესაბამისადაც სამსახური ამ პროექტისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.